ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №52

18 აგვისტო, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე და გურამ ოქროპირიძე.

მოწვეული სტუმრები:

1. ზურაბ აბაშიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ნიკო ნიკოლოზიშვილი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;
3. ანა ბედიაშვილი – სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
4. მეგი როსტიაშვილი - ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“
   მომხსენებელი: ეკატერინე ცაავა
   თანამდებობა: სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლის დირექტორი

2. **საკითხი:** „სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“
   მომხსენებელი: ეკა გაბინაშვილი
   თანამდებობა: სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლის დირექტორი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი,** რომელიც შეეხებოდა სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის საკითხს. კახაბერ ლაბუჩიძემ სხდომაზე წარმოადგინა ბიოგრაფიული ცნობები აკაკი ჩხენკელის შესახებ, კერძოდ, აკაკი ჩხენკელი დაიბადა სოხუმის ოლქის სოფელ ოქუმში 1874 წლის 19 მაისს. აკაკის მამა იყო სასულიერო პირი, უაღრესად კულტურული და განათლებული ქართველი პატრიოტი. მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი და

სახელოვანი შვილები ჰყავდა. აკაკი ჯერ სამეგრელოს სასწავლებელში შეიყვანეს, საიდანაც გადმოვიდა ხონში, შემდეგ ქუთაისში, ბოლოს კი თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაცეცნობოდა სოციალ-დემოკრატთა იდეებს და მრწამსს. 1883 წელს ერთ-ერთი გაფიცვის გამო აკაკი ჩხენკელი გარიცხეს სასწავლებლიდან. 1896-1901 წლებში აკაკი ჯერ კიევში, შემდეგ მოსკოვსა და პეტერბურგში ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე. 1902-1904 წლებში ჩხენკელმა აფხაზეთში ადვოკატად დაიწყო მუშაობა, თანამშრომლობდა პრესასთან და ამხელდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკასა და მის შოვინისტურ ზრახვებს. 1905 წელს აკაკი ოჯახთან ერთად სასწავლებლად ევროპაში გაემგზავრა 1904-1909 წლებში ის ცხოვრობდა ბერლინში, ვენაში, პარიზსა და ლონდონში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა კონგრესებსა და კონფერენციებში. 1907წელს ლაიფციგის უნივერსიტეტი დაასრულა და სწავლა შვეიცარიაში - ჟენევის უნივერსიტეტში განაგრძო. 1909 წელს აკაკი დაბრუნდა საქართველოში, ხოლო 1910 წელს იგი დააპატიმრეს და ჩასვეს ჯერ მეტეხის ციხეში, შემდეგ გადაასახლეს როსტოვში, სადაც იმყოფებოდნენ ქართველი რევოლუციონერები: ნოე რამიშვილი, ნესტორ ჩხიკვაძე, ზაქარია გურული და სხვები.

1912 წლიდან იწყება აკაკი ჩხენკელის აქტიური პოლიტიკური საქმიანობა. 1912 წელს გაიმართა რუსეთის იმპერიის მე-4 სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, რომელშიც აკაკი ჩხენკელი გახდა დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქიდან. ჩხენკელი ითხოვდა საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას. აკაკი ჩხენკელი რუსეთის დუმის მე-4 სათათბიროს ექვსი მუდმივმოქმედი კომისიის აირჩიეს სხვადასხვა საპარლამენტო კომისიის წევრად.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იმპერატორი ნიკოლოზ II გადადგა, რასაც რუსეთის იმპერიის დასასრული მოჰყვა, იმპერატორი ჩაანაცვლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ, რომელმაც ამიერკავკასიის სამართავად „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი“ შექმნა, რომლის თავმჯდომარე ვასილ ხარლამოვი იყო, წევრები კი მიქაელ პაპაჯანოვი, მამედ ჯაფაროვი,, კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი გახდნენ.

1917 წლის 11 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თბილისში გაიმართა თათბირი, რომლის მიზანი ამიერკავკასიაში ახალი ხელისუფლების შექმნა იყო. გაუქმდა „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი“ და შეიქმნა „ამიერკავკასიის კომისარიატი“, რომელიც ითავსებდა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებს. ნელ-ნელა ამიერკავკასიის კომისარიატი გაიმიჯნა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან, თუმცა მათ ვერ შეძლეს ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

1918 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სეიმი, რომლის თავმჯდომარედ ნიკოლოზ ჩხეიძე აირჩიეს, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი აკაკი ჩხენკელმა დაიკავა.

1918 წლის 23 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. 26 აპრილს კი ჩამოყალიბდა მთავრობა აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით. 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა თვითლიკვიდაცია, ხოლო საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მთავრობის ავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი - ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი - აკაკი ჩხენკელი იყო. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. გარდაიცვალა პარიზში, 1959 წლის 5 იანვარს, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დირექტორს ეკატერინე ცაავას, რომლის განცხადებით, აკაკი ჩხენკელი თბილისის №49 საჯარო სკოლის

კურსდამთავრებულია, აღნიშნული სკოლისთვის მისი სახელის მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, ჟურნალისტი, დიპლომატი და სახელოვანი მამულიშვილი აკაკი ჩხენკელი მჭიდრო ურთიერთობაში იყო მაშინდელი მე-9 ვაჟთა გიმნაზიის (ამჟამად სსიპ ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლა) აღმზრდელებთან და აღსაზრდელებთან, ასევე აქტიურად მოღვაწეობდა გიმნაზიის ცხოვრებაში დაარსების დღიდან სსიპ ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლისათვის მისი სახელის მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. აკაკი ჩხენკელის ღვაწლი ფასდაუდებელია. მისმა გამორჩეულმა დიპლომატიურმა ნიჭმა და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სსიპ ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლას მიენიჭოს აკაკი ჩხენკელის სახელი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
ზურაბ აბაშიძემ, ნიკო ნიკოლოზიშვილმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო სკოლის სახელდების პროცესში. მისი განცხადებით მისასალმებელია განათლების სამინისტროსთან ერთად მსგავს საკითხებზე ერთობლივი მუშაობა. სკოლების სახელდებების საკითხი ერთ-ერთი პრიოროტეტული მიმართულებაა, რომელსაც ვახორციელებთ.

ნიკო ნიკოლოზიშვილის განცხადებით, იგი მიესალმება სსიპ ქალაქ თბილისის N49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების საკითხს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრის, საფრანგეთში საქართველოს ელჩის, აკაკი ჩხენკელის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის, საქართველოს ფოსტამ გამოუშვა სპეციალური საფოსტო მარკა; დაწესდა აკაკი ჩხენკელის სახელობის უწყებრივი ჯილდო; მომზადდა და გამოიცა აკაკი ჩხენკელის მემორიალური ალბომი; მოეწყო მისი საარქივო და ფოტოდოკუმენტების გამოფენა; გაიხსნა აკაკი ჩხენკელის სახელობის სკვერი და დაიდგა მისი სახელობის ბიუსტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, **„სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების დადებითად შეფასების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების საკითხს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: „სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, აკაკი შანიძე (1887–1987) იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენის ისტორიის, გრამატიკის, დიალექტოლოგიისა და ფონეტიკის შესწავლაში. მისი შრომები დღესაც წარმოადგენს ძირითადი წყაროების ნაწილს ენობრივი კვლევებისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი ქართული ენის განვითარების და დაცვის საქმეში საბჭოთა ეპოქაში, როცა ეროვნული ღირებულებები ხშირად უგულებელყოფილი იყო. მან მოახერხა, მეცნიერებით ებრძოლა ამ პროცესისთვის და დაეცვა ქართული ენა როგორც აკადემიური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. აკაკი შანიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროფესორი, წლების განმავლობაში ასწავლიდა და ზრდიდა მომავალი თაობების მეცნიერებს. მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ათასობით სტუდენტზე მოახდინა გავლენა და ჩამოაყალიბა ქართული ენათმეცნიერების ძლიერი ტრადიცია. სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭება: განამტკიცებს პატივისცემას ეროვნული მეცნიერებისა და განათლების მიმართ; შეახსენებს მოსწავლეებს მშობლიური ენის ღირებულებასა და დაცვის აუცილებლობას; აღნიშნავს ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული და უანგარო მოღვაწის წვლილს ქართული სახელმწიფოებრიობის კულტურულ საფუძველში. აკაკი შანიძის სახელი არ არის მხოლოდ ისტორიული მემკვიდრეობა — ის ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი თავის ქვეყანას, ენას და განათლებას.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ეკა გაბინაშვილს, რომლის განცხადებით იგი აკაკი შანიძის ოჯახში გაიზარდა ენის, სამშობლოს და სარწმუნოების სიყვარულის სულისკვეთებით. ქვეყანა, სადაც დაფასებულია მამული, ენა, სარწმუნოება არასდროს წაიქცევა და ყოველთვის ღირსეულ შთამომავლობას გაზრდის.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების დადებითად შეფასების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების საკითხს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე